საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არტემ არარატელი

არტემ არარატელი (დ. 1774), სომეხი მემუარისტი. მისი სახელით ცნობილია 1813 პეტერბურგში დაბეჭდილი მემუარული წიგნი „არტემ არარატელის ცხოვრება...“ (ნაწ. 1–2, რუს. ენაზე). აღა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს (1795) ა. ა. საქართველოში იმყოფებოდა. აღწერილი აქვს XVIII ს. II ნახ. საქართვ. და მომიჯნავე ქვეყნების ცხოვრება. ა. ა-ის წიგნი ტენდენციური ხასიათისაა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ა. ა. აღა-მაჰმად-ხანის, უფრო გვიან კი ცარიზმის აგენტი იყო. მიუხედავად ამისა, ნაშრომს, როგორც წყაროს, XVIII ს. II ნახ. საქართველოს და მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ლიტ.: ც ი ნ ც ა ძ ე ი., აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე 1795 წ., თბ., 1969; М а р р Н. Я., Подлог Артемия Араратского раскрыл А. Е. С., Баку, 1894; «Записки Вост. Отделения Рус. археол. об-ва», 1896, т. 9, в. 1 – 4; Жизнь Артемия Араратского, изд. К. Н. Григорьяна при участии Р. Р. Орбели, М., 1981.

დ. მეგრელაძე